
თავდაცვის მინისტრის დირექტივები

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

2017



სარჩევი

შესავალი	3
ზოგადი მიმოხილვა.....	4
2017 წლის პრიორიტეტული ღონისძიებები და მიზნები	5
1. სტრატეგიული/თავდაცვის დაგეგმვა	6
2. საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამა (GDRP)	7
3. შეიარაღებული ძალების შესაძლებლობების გაუმჯობესება	9
4. პერსონალი, წვრთნა და განათლება	11
5. საერთაშორისო თანამშრომლობა	14
რესურსების მართვა	16

შესავალი

„მინისტრის დირექტივები 2017“ წარმოადგენს ყოველწლიურ სახელმძღვანელო დოკუმენტს, რომელიც ხელს უწყობს გრძელვადიან პერიოდში შეიარაღებული ძალებისათვის განსაზღვრული განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების ეტაპობრივ განხორციელებას. დოკუმენტი, თავდაცვის სამინისტროს, გენერალური შტაბისა და დაქვემდებარებული ქვედანაყოფებისთვის ასახავს მოკლევადიანი დაგეგმვის ღონისძიებებს და მიზნად ისახავს 2017 წლის პრიორიტეტული მიმართულებების ფარგლებში კონკრეტული შედეგების მიღწევას. სახელმძღვანელო ხელს უწყობს ეფექტიანი, მობილური, თანამედროვე, პროფესიონალური და ნატო-სთან თავსებადი შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბებას. ამ მიზნის მისაღწევად დაგეგმილი ღონისძიებები შესაბამისობაშია „თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვის 2017-2020“ რეკომენდაციებთან და „თეთრი წიგნის 2017-2020“ სტრატეგიულ მიმართულებებთან.

დასახული ღონისძიებები ითვალისწინებს თავდაცვის სისტემაში არსებული გამოწვევებისა და შეიარაღებული ძალების შესაძლებლობების ანალიზის შედეგად გამოვლენილ ძირითად ნაკლოვანებებს:

- ქვედანაყოფების არასათანადო საბრძოლო მზადყოფნა;
- თავდაცვის სამინისტროს რესურსების არაეფექტიანი განაწილება;
- ორგანიზაციულ-სტრუქტურული ნაკლოვანებები.

გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად „თეთრი წიგნის“ დოკუმენტში 4-წლიანი პერიოდის ფარგლებში განისაზღვრა 5 ძირითადი პრიორიტეტული მიმართულება, რომლებიც თავისთავად აისახება 2017 წლისთვის დაგეგმილი ღონისძიებებსა და 2018 წლის პროგრამულ ბიუჯეტში:

1. სტრატეგიული მართვა;
2. ძალთა ოპტიმიზაცია;
3. ძალთა მზადყოფნა;
4. ინსტიტუციური რეფორმები;
5. საერთაშორისო თანამშრომლობა.

„მინისტრის დირექტივები“ ითვალისწინებს გასული წლების გამოცდილებას და „ტოტალური თავდაცვის“ მიდგომის პრინციპებს, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს, როგორც ნატოს მომავალი წევრის თავდაცვის შესაძლებლობების და მდგრადობის გაუმჯობესებას ჩრდილოატლანტიკური ალიანსის პრინციპების და სტანდარტების შესაბამისად.

ზოგადი მიმოხილვა

2017 წლის პრიორიტეტული მიმართულებებისა და მათ ფარგლებში განსაზღვრული ღონისძიებების შემუშავებისას განხორციელდა შეიარაღებული ძალების არსებული შესაძლებლობების ანალიზი. ანალიზის ფარგლებში მოხდა უსაფრთხოების გარემოს და თავდაცვისათვის გათვალისწინებული ფინანსური რესურსების შეფასება. უსაფრთხოების გარემოს არსებულ გამოწვევებზე საპასუხოდ და შეიარაღებული ძალების საბრძოლო შესაძლებლობების ასამაღლებლად დადგინდა შეზღუდული ფინანსური რესურსის მაქსიმალურად ეფექტიანად და რაციონალურად გადანაწილების აუცილებლობა.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებული ძალების არსებული სტრუქტურა და გამოყოფილი ფინანსური რესურსი არ იძლეოდა ზემოთ აღნიშნული ამოცანების შესრულების საშუალებას. აღნიშნული პრობლემა საჭიროებდა პრაგმატულ მიდგომას, რათა სახელმწიფოს არ ჰყავდეს სოციალურ კმაყოფაზე მყოფი ორგანიზაცია, რომელიც ვერ უპასუხებს ქვეყნის უსაფრთხოების წინაშე არსებულ გამოწვევებს.

თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტის თითქმის 2/3 პერსონალის ხარჯს (ხელფასი და სოციალური უზრუნველყოფა) წარმოადგენდა, რაც საკმაოდ მაღალი პროცენტული მაჩვენებელია და ართულებდა შეიარაღებული ძალების საჭიროებების უზრუნველყოფას. დუბლირებული ფუნქციური სტრუქტურული ქვედანაყოფების პირობებში მწვავედ იდგა სტრუქტურული ოპტიმიზაციის აუცილებლობა. ასევე პრობლემას ქმნიდა ქვედანაყოფების არასათანადო დაკომპლექტება, რაც ხელის შემშლელ ფაქტორს წარმოადგენდა თავდაცვისუნარიანობის უზრუნველყოფის კუთხით. შესაბამისად, თავდაცვის სამინისტროში განხორციელებული ანალიზის საფუძველზე, გაუქმებული ქვედანაყოფების ხარჯზე გაიზარდა არსებული ქვედანაყოფების დაკომპლექტების დონე, რამაც თავის მხრივ გაცილებით გაზარდა შეიარაღებული ძალების ბრძოლისუნარიანობა.

თავდაცვის სამინისტრო განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს არსებული ფინანსური რესურსების მაქსიმალურად რაციონალურ განაწილებას. შესაბამისად, „ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის“ ფარგლებში გამართულ „სინქრონიზაციის სამუშაო შეხვედრებზე“ თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტის დაგეგმვისა და აღსრულების პროცესში დუბლირების აღმოფხვრის მიზნით მკაფიოდ გაიმიჯნა თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტიდან და უცხოური წყაროებიდან დაფინანსებული ღონისძიებები.

2017 წლის მინისტრის დირექტივებით განსაზღვრული პრიორიტეტული მიმართულებები ეფუძნება დღემდე არსებულ მიდწევებს, შეიარაღებულ ძალებში მიმდინარე ღონისძიებებს, მათ შორის ორმხრივი საერთაშორისო თანამშრომლობის ფორმატით, ნატო-საქართველოს ერთობლივ პროექტებს და აგრეთვე, შეიარაღებული ძალების რეფორმირების პრინციპულად ახალ ხედვებს.

2017 წლის პრიორიტეტული ღონისძიებები და მიზნები

ქვეყნის სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის დაცვა და მშვიდობიანი განვითარების უზრუნველყოფა, საქართველოს შეიარაღებული ძალების უპირველეს ამოცანას წარმოადგენს. საქართველოს ესაჭიროება დაბალანსებული, ადაპტირებადი, მოქნილი, მდგრადი და მობილური შეიარაღებული ძალები, რომელიც ადეკვატურად უპასუხებს როგორც ქვეყნის წინაშე არსებულ საფრთხეებს, ისე პირდაპირ სამხედრო აგრესიას, საკუთარ წვლილს შეიტანს საერთაშორისო სტაბილურობაში და უზრუნველყოფს ხელისუფლების მხარდაჭერას სტიქიური/ტექნოგენური კატასტროფების დროს.

2017 წელს განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდება სტრატეგიული თავდაცვის დაგეგმვის პროცესის დახვეწაზე, რომელიც შეიარაღებული ძალების განვითარების საფუძველს წარმოადგენს და რომელშიც განსაკუთრებული როლი ენიჭება ეფექტურ უწყებათაშორის თანამშრომლობას. ამასთან ერთად, საბრძოლო მზადყოფნის ამაღლების და შეიარაღებული ძალების შესაძლებლობების გაუმჯობესების მიზნით ძირითადი ძალისხმევა დაეთმობა საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამას (GDRP), შეიარაღებული ძალების სპეციფიკური შესაძლებლობების განვითარებას, შესაბამისი წვრთნისა და განათლების პროგრამების უზრუნველყოფას და საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებას.

აღნიშნული ღონისძიებები მტკიცე საფუძველს შექმნის შეიარაღებული ძალების შესაძლებლობების შემდგომი განვითარებისათვის.

1. სტრატეგიული/თავდაცვის დაგეგმვა

თავდაცვის სამინისტრო აქტიურად მონაწილეობს უწყებათაშორის ფორმატებში „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად გაწერილი ეროვნული დონის კონცეპტუალური დოკუმენტების შემუშავების პროცესში. უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვა ხორციელდება როგორც ეროვნული, ასევე უწყებრივი დონის კონცეპტუალური და ორგანიზაციული დოკუმენტების მეშვეობით.

- **სტრატეგიული დაგეგმვა** - უწყებათაშორის ფორმატში, თავდაცვის სამინისტრო 2017 წელს მონაწილეობს „ეროვნული სამხედრო სტრატეგიის“ განახლებაში და „თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვის განხორციელების გეგმის“ შემუშავებაში. სტრატეგიულ დოკუმენტებზე დაყრდნობით, იგეგმება თავდაცვის სამინისტროს სახელმძღვანელო დოკუმენტების შემუშავება-გადახედვა, როგორიცაა „თავდაცვის გენერალური გეგმა“, „შეიარაღების შესყიდვების სტრატეგია“, „კრიზისების მართვის სტრატეგია“ და მისი იმპლემენტაციის გეგმა. ასევე გადაიხედება „ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული საფრთხეების შემცირების სტრატეგიის სამოქმედო გეგმა“ და განახლდება „თავდაცვის პროგრამების სახელმძღვანელო“. აქცენტი ასევე გაკეთდება შიდაუწყებრივი თანამშრომლობის გაუმჯობესებასა და ინფორმაციის გაზიარებაზე, სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციების გამიჯვნასა და დუბლირებული ფუნქციების აღმოფხვრაზე.
- **წვრთნები, სწავლებები და სხვა ღონისძიებები** - შეიარაღებული ძალები მონაწილეობას მიიღებს მნიშვნელოვან უწყებათაშორის წვრთნებსა და ღონისძიებებში, როგორიცაა უწყებათაშორისი სწავლება „დიდგორი 2017“, რომლის მიზანია მართვისა და კონტროლის მექანიზმების დახვეწა და უწყებათაშორისი კოორდინაციის გაუმჯობესება. ასევე დაგეგმილია საინფორმაციო ოპერაციების სამეთაურო-საშტაბო სწავლება „ინფო 2017“-ის ჩატარება. თავდაცვის სამინისტრო აგრძელებს დამკვიდრებულ ტრადიციას და უმასპინძლებს საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების კონფერენციას (GDSC), რომლის მიზანია თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება და თანამშრომლობის გაღრმავება რეგიონული და საერთაშორისო მასშტაბით. 2017 წელს, საქართველოში გაიმართება სამხრეთ-აღმოსავლეთ თავდაცვის მინისტერიალი (SEDM), რომლის მიზანია რეგიონის ქვეყნებს შორის თანამშრომლობის კონსოლიდაცია რეგიონში უსაფრთხოებისა და მშვიდობის, ასევე რეგიონის ქვეყნების ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით.

2. საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამა (GDRP)

ეროვნული თავდაცვის სისტემის ქვაკუთხედს წარმოადგენს ძლიერი, კარგად ორგანიზებული და სათანადოდ აღჭურვილი საქართველოს შეიარაღებული ძალები. აღნიშნული მიმართულებით უმნიშვნელოვანესია აშშ-ის მხარდაჭერით ინიცირებული „საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამის“ (GDRP) განხორციელება. პროგრამა უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს წარმოადგენს საქართველოს შეიარაღებული ძალების მოდერნიზაციისა და თავდაცვის შესაძლებლობების გაზრდის კუთხით, რაც საბრძოლო მზადყოფნის ამაღლების გარანტიას იძლევა. GDRP-ის პროგრამის ეფექტიანი განხორციელებისთვის, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საბრძოლო ქვედანაყოფების სრულად დაკომპლექტებას, რაც წარმატებით განხორციელდა თავდაცვის სამინისტროს ოპტიმიზაციის პროცესში.

GDRP-ის მოსამზადებელ ფაზაში უკვე განხორციელდა შესაბამისი ზომები რესურსების გამოყოფის თვალსაზრისით, რაც მიზნად ისახავს საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებას. უარი ითქვა ნაკლებად მნიშვნელოვანი პროგრამებისა და ღონისძიებების დაფინანსებაზე. ამასთან, ძალთა მზადყოფნის მხარდაჭერის მიზნით 2017 წლის ბიუჯეტის პროექტში მოხდა ათეულობით მილიონ ლარზე მეტის მობილიზება. უცხოური სამხედრო დახმარების ფარგლებში (FMF) ხელმისაწვდომი რესურსებიც საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამის საჭიროებებს მოხმარდება. დამატებით, თავდაცვის სამინისტროში განხორციელებული ოპტიმიზაციის და რეორგანიზაციის პროცესში დაზოგილი თანხა მიმართული იქნება ძალების მზადყოფნის ამაღლების გრძელვადიან შენარჩუნებაზე, თანამედროვე სამხედრო აღჭურვილობის შესყიდვასა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე.

- **ქვედანაყოფების მზადყოფნა** - 2017 წელს, დადგინდება კონკრეტული ქვედანაყოფები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამაში (GDRP). შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის დირექტივის შესაბამისად, მათ უნდა დააკმაყოფილონ რიგი წინაპირობები, როგორიცაა სათანადო დაკომპლექტება, ტაბელით გათვალისწინებული ძირითადი აღჭურვილობა და მოსამზადებელი წვრთნების წარმატებით გავლა.
- **ქვედანაყოფების მზადყოფნასა და მზადყოფნისა და შეფასების ანგარიშგების სისტემა (USERS)** - პროგრამის ფარგლებში, ყურადღება გამახვილდება ქვედანაყოფების მზადყოფნასა და მზადყოფნისა და შეფასების ანგარიშგების სისტემის (USERS) განვითარებაზე, რაც გულისხმობს სპეციფიკური ანგარიშგების სისტემის შემოღებას იმ ქვედანაყოფებისათვის, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ პროგრამაში. აღნიშნული სისტემები იძლევა როგორც პირადი შემადგენლობის, ასევე ფინანსური რესურსების კონკრეტული მოთხოვნილებების დადგენის საშუალებას და სრულიად შესაბამეა ნატო-ს სტანდარტებს.

- საქართველოს მზადყოფნის პროგრამის (GDRP) რესურსები - GDRP პროგრამის სათანადო დაგეგმვისა და აღსრულების მიზნით მოხდება საჭირო ადამიანური და ფინანსური რესურსების მობილიზება შემდეგი საბიუჯეტო წლისათვის და უკვე გამოყოფილი ფინანსური რესურსების ხარჯვის მონიტორინგი.

3. შეიარაღებული ძალების შესაძლებლობების გაუმჯობესება

იმისათვის, რომ თავდაცვის უწყებამ შეძლოს სათანადო ზომების მიღება ეროვნული თავდაცვისა და უსაფრთხოების გამოწვევების საპასუხოდ, გააგრძელოს ტრანსფორმაციის პროცესი და ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება, კრიტიკულად მნიშვნელოვანია შეიარაღებული ძალების ნატოსა და პარტნიორი ქვეყნების ძალებთან თავსებადი შესაძლებლობების განვითარება. ქვეყნის თავდაცვის ამოცანების შესასრულებლად საქართველოს შეიარაღებული ძალების მზადყოფნის ამაღლება თავდაცვის სამინისტროს მთავარი პრიორიტეტია. აღნიშნული მოიცავს ყურადღების გამახვილებას შემდეგ ძირითად ფაქტორებზე, როგორიცაა პერსონალი, აღჭურვა, წვრთნა, შენარჩუნება და შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფა. „ტოტალური თავდაცვის“ მიდგომის ფარგლებში, თავდაცვის სამინისტრო უწყებათშორისი კოორდინაციისა და თანამშრომლობის გაღრმავებით, ხელს უწყობს ერთიანი სახელისუფლებო მიდგომის ჩამოყალიბებას, რომლის მიზანია განისაზღვროს დაგეგმვისა და მართვის ფუნქციები როგორც მშვიდობიანობის, ასევე კრიზისებისა და ომის დროს. აღნიშნული მოიცავს უწყებათშორისი თანამშრომლობის მექანიზმების განსაზღვრას და ურთიერთ თავსებადობის გაზრდას.

ამ კუთხით, დაგეგმილია ძალთა მართვის სისტემის (FMS) დანერგვა და მთელი რიგი ღონისძიებების განხორციელება რომლებიც ერთობლიობაში ემსახურება შეიარაღებული ძალების ბრძოლისუნარიანობის დონის ამაღლებას:

- **რეზერვი და მობილიზაცია** - „ტოტალური თავდაცვის“ კონცეფციის ფარგლებში ერთ-ერთ ძირითად კომპონენტს წარმოადგენს ეფექტური „რეზერვისა და მობილიზაციის“ სისტემის ჩამოყალიბება. თავდაცვის სამინისტროში შემუშავებული „რეზერვისა და მობილიზაციის“ განახლებული კონცეფცია სამ-კომპონენტია (შეიარაღებული ძალების, ტერიტორიული და სპეციალისტების) რეზერვის სისტემის შემოღებას ითვალისწინებს, რომლის თითოეული კომპონენტი ძალთა მდგრადობისა და მზადყოფნის ამაღლებას ემსახურება. შემუშავებული კონცეფცია განიხილება ფართო საზოგადოებრივ ფორმატში და მისი დამტკიცების შემდეგ 2018 წლიდან დაგეგმილია საპილოტე პროექტის განხორციელება.
- **სამხედრო-სავალდებულო სამსახური** - „ტოტალური თავდაცვის“ კიდევ ერთ აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენს • სამხედრო-სავალდებულო სამსახური. თავდაცვის სამინისტროს მიერ განახლებული სავალდებულო სამსახურის ახალი კონცეფცია 3 მნიშვნელოვან სიახლეს ითვალისწინებს: 1) თითოეული ახალწვეული გაივლის სტანდარტულ „საწყისი საბრძოლო მომზადების“ კურსს და შემდგომ საბრძოლო მომზადებას ქვედანაყოფის შესაბამისად; 2) ახალწვეულებს შესაძლებლობა ექნებათ, ისარგებლონ უქმე დღეებით; 3) გაიზრდება წვევამდელთა თვითური ხელფასი. ახალი კონცეფცია ასევე ხელს შეუწყობს ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების ინტეგრაციას სამოქალაქო თავდაცვის სისტემაში. უწყებათშორისი თანამშრომლობის ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროში დაგეგმილია სპეციალური ფორმატის ჩამოყალიბება, რომლის

ფარგლებშიც მოხდება სტანდარტული „საწყისი საბრძოლო მომზადების“ კურსის განხორციელებადობის შეფასება ყველა იმ სამთავრობო უწყებასთან, რომლებიც გეგმავენ წვევამდელების მიღებას.

- **დაზვერვა** - განახლდება სამხედრო დაზვერვის ტრანსფორმაციის გეგმა, რომელიც წარმოადგენს ჩარჩო დოკუმენტს საჭირო ორგანიზაციული სტრუქტურის, შესაძლებლობების, თანამედროვე აღჭურვილობის, პროფესიული განვითარების მოთხოვნების და დოქტრინების განსაზღვრისათვის.
- **ლოგისტიკა** - ამ სფეროში ძირითადი ღონისძიებები მოიცავს „ლოგისტიკის კონცეფციის“, „ლოგისტიკის დოქტრინის“ და „ქვეითთა მხარდამჭერი ბატალიონის“ დოქტრინული სახელმძღვანელოს შემუშავებას. აღნიშნული დოკუმენტები განსაზღვრავს თუ როგორ მოხდება ძალების ეფექტური ლოგისტიკური მომარაგება მშვიდობის, კრიზისის და ომის დროს. ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის ფარგლებში ბელგიელი და ამერიკელი ინსტრუქტორების დახმარებით შეიქმნება ნატოს ლოგისტიკურ მონაცემთა ბაზისთვის საჭირო სისტემა (LOGFAS).
- **საინფორმაციო სისტემები, კომუნიკაციები და კიბერ-თავდაცვა** - გაგრძელდება თავდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციული და ოპერაციული საინფორმაციო სისტემების (INFOSYS) შემდგომი შემუშავება/დანერგვა, რაც მოიცავს საკომუნიკაციო სივრცეების და საკვანძო ქსელური მოწყობილობების უსაფრთხოებას და ავტომატიზებული სისტემების ფუნქციების დახვეწას.
- **მართვა და კონტროლი** - დამტკიცდება საქართველოს შეიარაღებული ძალების მართვისა და კონტროლის (C2) კონცეფცია, რომელიც ძირითადი სახელმძღვანელო დოკუმენტი გახდება საომარი მოქმედებებისას C2 ფუნქციების შესასრულებლად.
- **სპეციალური ოპერაციები** - გაგრძელდება სპეციალური ოპერაციების ძალების თვისობრივი განვითარება საბრძოლო შესაძლებლობების გაუმჯობესების მიზნით. 2017 წლის განმავლობაში დაგეგმილია: სპეციალური ოპერაციების ძალების საბრძოლო ქვედანაყოფების საშტატო-სტრუქტურული რეორგანიზაცია, სპეციალური ოპერაციების ტაქტიკური დაჯგუფების შექმნის პროცესის დაწყება, საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისად სპეციალური ოპერაციების ტაქტიკური ჯგუფის მომზადება და მისი საერთაშორისო სწავლებებში შეფასება, ასევე ძალების მოთხოვნებისათვის საჭირო ღონისძიებებისა და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების განსაზღვრა.

4. პერსონალი, წვრთნა და განათლება

თავდაცვის სამინისტრო ხელს უწყობს სამართლიანობის, თანაბარი შესაძლებლობების, გამჭვირვალობისა და ობიექტურობის პრინციპებზე დაფუძნებული, სტაბილური და თანამედროვე ადამიანური რესურსების მართვის სისტემის ჩამოყალიბებას, როგორც სამხედრო, ასევე სამოქალაქო მიმართულებით. თავდაცვის სამინისტრო გააგრძელებს სამოქალაქო და სამხედრო პერსონალის მართვის სისტემის შემდგომ ინსტიტუციონალიზაციას, მათ შორის, კარიერის მართვისა და პროფესიული განვითარების პროგრამებს, სამხედრო მოსამსახურეების დანიშვნისა და დაწინაურების ცენტრალიზებული მიდგომის დანერგვას, რეკრუტირების სისტემის დახვეწასა და სპეციფიკური სახელმძღვანელოების დამტკიცებას. თავდაცვის სამინისტრო ასევე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სოციალური და სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფას სამხედრო მოსამსახურეების, სამოქალაქო პირების, დაჭრილი და დაშავებული ჯარისკაცებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის.

სამხედრო მოსამსახურეთა სოციალური და სამედიცინო მხარდაჭერა

- სხვადასხვა სამშვიდობო მისიებში, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებულ ომებსა და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაჭრილი/დაშავებული სამხედრო მოსამსახურეებს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო სთავაზობს ფიზიკური და ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის კურსს მარიამ მაყაშვილის სახელობის სამხედრო მოსამსახურეთა სარეაბილიტაციო სამსახურში. თავდაცვის სამინისტროში მოქმედებს ამპუტირებულთა რეაბილიტაციის შესაძლებლობის განვითარების (BAC-GE) პროგრამა, რომელიც აშშ-ის მხარდაჭერით ხორციელდება.

გრძელდება შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურეების ფსიქოლოგიური შემოწმების, რეაბილიტაციის, მონიტორინგის, სკრინინგის და სუიციდის პრევენციის პროგრამები. დაჭრილ და დაშავებულ სამხედრო მოსამსახურეთა სოციალური მხარდაჭერის მიზნით ასევე იგეგმება საკანონმდებლო ინიციატივების განხორციელება.

2017 წელს, გაუმჯობესდა სამხედრო მოსამსახურეთა სადაზღვევო პაკეტი, კერძოდ გათვალისწინებულ იქნა სადაზღვევო კომპანიის მიერ მედიკამენტების 70%-მდე ანაზღაურება. გაიზარდა გეგმიური ამბულატორიული მომსახურებისა და მშობიარობის ლიმიტი; ასევე ამოქმედდა კლინიკების თავისუფალი არჩევანის პრინციპი.

თანამედროვე და ნატო-სთან თავსებადი სამხედრო განათლების სისტემის განვითარება უმნიშვნელოვანესია საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისა და საერთაშორისო მისიებში ეფექტურად მონაწილეობისთვის. საბრძოლო მზადყოფნის მიღწევა და შენარჩუნება შესაძლებელია მხოლოდ შესაბამისი სამხედრო განათლების პროგრამებითა და სამხედრო წვრთნებით. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ძალისხმევას არ იშურებს, რათა შექმნას თანამედროვე, ნატოსთან თავსებადი

განათლების სისტემა და საწვრთნელი ინფრასტრუქტურა. ამ მიმართულებით იგეგმება ოფიცერთა და სერჟანტთა შემადგენლობის განათლების დონის ამაღლება ნატოს სტანდარტების შესაბამისად:

- **ნატო-საქართველოს „წვრთნისა და შეფასების ერთობლივი ცენტრი“ (JTEC)** - წარმოადგენს ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის ერთ-ერთ ძირითად ინიციატივას. შესაბამისად, როგორც საქართველოს, ასევე პარტნიორი ქვეყნების ძალისხმევა მიმართულია აღნიშნული ცენტრის შესაძლებლობების გაძლიერებისკენ, მრავალეროვნული (ნატო) წვრთნების მხარდაჭერის, წარმართვის და შეფასების თვალსაზრისით. 2017 წელს, განხორციელდება ღონისძიებები ვირტუალური და კონსტრუქციული სავლე ტექნოლოგიების გასავითარებლად, რაც აამაღლებს ნატო-საქართველოს „წვრთნისა და შეფასების ერთობლივი ცენტრის“ (JTEC) შესაძლებლობებს. 2017 წელს, ასევე JTEC-ის დაქვემდებარებაში დაგეგმილია საბრძოლო მომზადების ცენტრისთვის (CTC) შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა და მატერიალური აღჭურვა.
- **საერთო საჯარისო მომზადების ცენტრი (CATC)** - სამხედრო სკოლების ინტეგრაცია უმნიშვნელოვანესია სამხედრო წვრთნების და განათლების პროგრამების შემდგომი განვითარებისა და ინსტიტუციონალიზაციისთვის. მანევრის, საბრძოლო მხარდაჭერისა და საბრძოლო უზრუნველყოფის, ავიაციის, საჰაერო თავდაცვისა და კაპიტნის საკარიერო სკოლების გაერთიანება გაზრდის ოფიცერთა კორპუსის პროფესიონალიზმს და საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის დონეს. სკოლების გაერთიანება ასევე გამოიწვევს თანხების დაზოგვას და ყურადღების გამახვილებას ხარისხიანი წვრთნებსა და განათლების პროგრამებზე. დაგეგმილია საბრძოლო მომზადების სტანდარტებთან თავსებადი პოლიგონების, სასროლეთებისა და სასწავლო-საწვრთნელი სიმულაციური საშუალებების ინფრასტრუქტურული განვითარების გრძელვადიანი გეგმის შემუშავება. ასევე დამტკიცდება სტანდარტული ქვეითი ოცეულის, ასეულის და ბატალიონის აუცილებელ დავალებათა ნუსხა (METL), რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ GDRP-ის პროგრამაში.
- **დოქტრინების განვითარების ცენტრი** - განათლების სისტემის დახვეწის ფარგლებში ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია დოქტრინების განვითარების ცენტრის სრულყოფა, რომელიც ჩამოყალიბებულია წვრთნებისა და განათლების სარდლობის დაქვემდებარებაში. ცენტრი ხელს შეუწყობს ერთიანი და ნატო-სთან თავსებადი დოქტრინების განვითარების სისტემის ჩამოყალიბებას, დოქტრინების შემუშავებისა და დანერგვის პროცესის სინქრონიზაციას და „მიღებული გამოცდილების“ (Lessons Learned) ანალიზის განხორციელებას.
- **თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა (DIB)** - წარმოადგენს ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის ერთ-ერთ ინიციატივას. სკოლის მისიაა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პერსონალის პროფესიული და

ინსტიტუციური განვითარების ხელშეწყობა, თავდაცვისა და უსაფრთხოების ერთიანი აღქმის ჩამოყალიბება სამთავრობო და სამოქალაქო საზოგადოებაში. სკოლა ასევე ხელს უწყობს თანამშრომლობის გაუმჯობესებას საქართველოს უსაფრთხოების სექტორში ჩართულ საზოგადოებასთან, ისევე როგორც რეგიონის ქვეყნებს, ნატო-ს წევრებსა და პარტნიორებს შორის.

სკოლამ გამოკვეთა 4 პრიორიტეტული მიმართულება: კარგი მმართველობა უსაფრთხოების სექტორში, თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკა, უწყებათაშორისი თანამშრომლობა და რეგიონული და საერთაშორისო თანამშრომლობა. სხვადასხვა ფორმატებში, როგორიცაა კურსები, სემინარები, ტრენინგები, დისკუსიები და ლექციები აღნიშნული თემები შეთავაზებული იქნება საქართველოს უსაფრთხოების სექტორის სამოქალაქო და სამხედრო პირებისათვის, ისევე როგორც სამოქალაქო საზოგადოებისათვის.

2017 წელს დაგეგმილი ღონისძიებები ასევე მოიცავს პროფესიული სამხედრო განათლების გაუმჯობესებას და პროფესიული განვითარების სასწავლო პროგრამების დახვეწას. საერთაშორისო პარტნიორების მხარდაჭერით დაგეგმილია სკოლის სასწავლო პროგრამების გაფართოება. სკოლას დაგეგმილი აქვს ნატო-ს აკრედიტაციის მოპოვება და ნატო-სთან თავსებადი სასწავლო ციკლის ჩამოყალიბება.

5. საერთაშორისო თანამშრომლობა

საქართველო მტკიცედ განაგრძობს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის გზას, ერთგული რჩება და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოების განმტკიცების საქმეში, როგორც ევროატლანტიკურ სივრცეში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

თავდაცვის სამინისტროს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია ნატოსა და ევროკავშირთან თანამშრომლობის გაღრმავება, მრავალეროვნულ ოპერაციებსა და წვრთნებში მონაწილეობა და თავდაცვის სფეროში ორმხრივი სამხედრო თანამშრომლობა ნატოსა და პარტნიორ ქვეყნებთან. შესაბამისად, საქართველოს შეიარაღებული ძალების ერთ-ერთ მთავარ მიზანს რეგიონული და საერთაშორისო უსაფრთხოების ხელშეწყობა წარმოადგენს. ამ მიმართულებით ღონისძიებები მოიცავს საერთაშორისო, ორმხრივ და მრავალმხრივ თანამშრომლობას, რაც საერთო ჯამში თავდაცვის შესაძლებლობების გაუმჯობესებას ემსახურება.

საქართველოს მჭიდრო თანამშრომლობა ნატოს წევრ სახელმწიფოებთან და პარტნიორ ქვეყნებთან და ამ თანამშრომლობის ფარგლებში არსებული პროგრამები (ANP, PARP, SNGP) ხელს უწყობს სამხედრო შესაძლებლობების განვითარებას, თავდაცვის სისტემის მდგრადობას და ალიანსის წევრ და პარტნიორ ქვეყნებთან ურთიერთავსებადობის ამაღლებას. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, საერთაშორისო მისიებში და საერთაშორისო და ორმხრივ სწავლებებში მონაწილეობა:

- საქართველო განაგრძობს ნატოსთან პარტნიორობის არსებული მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას. ნატოს წევრი სახელმწიფოებისა და პარტნიორი ქვეყნების ექსპერტებთან მჭიდრო თანამშრომლობით გრძელდება ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტი (SNGP) გათვალისწინებული 15 ინიციატივის განხორციელება. თავდაცვის განვითარების პრიორიტეტებზე დაყრდნობით განისაზღვრა არსებითი პაკეტის თითოეული ღონისძიების კონკრეტული შედეგი და მოხდა მათი სინქრონიზაცია თავდაცვის სამინისტროს ყველა არსებულ სტრატეგიულ დოკუმენტთან და ორმხრივი და მრავალმხრივი პარტნიორობის ფორმატებთან.
- საქართველო ერთგული რჩება ალიანსის რეაგირების ძალებში (NRF) მონაწილეობის მიღების ვალდებულებისა ერთი ასეულის შემადგენლობით და გამოხატავს მზადყოფნას, გააგრძელოს მონაწილეობა „მტკიცე მხარდაჭერის მისიაში“ (RSM) 2018 წლის გაზაფხულის ჩათვლით. საერთაშორისო უსაფრთხოების ტენდენციებისა და თავდაცვის სისტემაში მიმდინარე ტრანსფორმაციის გათვალისწინებით, საქართველო თავის პარტნიორებთან ერთად განიხილავს „მტკიცე მხარდაჭერის მისიაში“ მონაწილეობის დეტალებს, დღეისათვის შეთანხმებული ვადების გასვლის შემდეგაც.
- საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ხელმოწერილი ჩარჩო დოკუმენტი „საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის თავდაცვისა

და უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის გაღრმავების შესახებ“ ხელს უწყობს საქართველოს თავდაცვის სისტემის კრიტიკული მიმართულებების სტაბილურ განვითარებას. ამ კუთხით აღსანიშნავია საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამის (GDRP) ეფექტური განხორციელება.

- საქართველოს თავდაცვის სამინისტრო აცნობიერებს საქართველო-ევროკავშირის შორის 2014 წელს ხელმოწერილი ასოცირების შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესრულების მნიშვნელობას. შესაბამისად, თავდაცვის სამინისტრო აგრძელებს მალისა და ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში ევროკავშირის ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის (CSDP) ფარგლებში წარმოებულ კრიზისების მართვის ოპერაციებში/მისიებში მონაწილეობას.
- პარტნიორ და რეგიონულ ქვეყნებთან ერთად დაგეგმილი ორმხრივი წრთვნები გაზრდის საქართველოს შეიარაღებული ძალების მზადყოფნისა და საბრძოლო შესაძლებლობების დონეს. საქართველო განაგრძობს მრავალეროვნული წვრთნების (NOBLE PARTNER, AGILE SPIRIT, SEA BREEZE, RAPID TRIDENT, VIKING, ნატო-საქართველოს სწავლება) მასშინძლობას, რათა გადადგას დამატებითი ნაბიჯები ნატოსა და პარტნიორ ძალების სტანდარტებთან თავსებადობის ამაღლების კუთხით. რეგიონული თანამშრომლობისა და ურთიერთობების გაღრმავების მიზნით აღსანიშნავია, თურქეთი -საქართველო-აზერბაიჯანის სამხრეთი სამხედრო სწავლება.
- უსაფრთხოების ახალი რეალიების გათვალისწინებით, საქართველო, როგორც ნატოს „გაძლიერებული შესაძლებლობების პარტნიორი“ (Enhanced Opportunity Partner) ისწრაფვის განავითაროს პრაქტიკული თანამშრომლობის სასარგებლო ფორმატები შავი ზღვისა და სამხრეთ კავკასიის რეგიონის უსაფრთხოებისა და სტაბილურობის უზრუნველყოფის საკითხებთან დაკავშირებით.

რესურსების მართვა

დოკუმენტში განსაზღვრული და სხვა დამატებითი ღონისძიებების შესასრულებლად მნიშვნელოვანია 2017 წლისათვის გამოყოფილი ფინანსური რესურსების დაბალანსებული და ეფექტიანი განაწილება, ისევე როგორც მომდევნო სამი წლის სავარაუდო ბიუჯეტის დაგეგმვა.

თავდაცვის სამინისტროს ფინანსური რესურსების მაქსიმალურად ეფექტიანად განაწილების მიზნით, „ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის“ ფარგლებში გამართულ „სინქრონიზაციის სამუშაო შეხვედრებზე“ განხორციელდა თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტიდან და უცხოური წყაროებიდან დაფინანსებული ღონისძიებების გამოიჯვანა.

ნატოს-თან მაქსიმალური თავსებადობის უზრუნველყოფის მიზნით, თავდაცვის სამინისტრო გააგრძელებს შეიარაღებული ძალების მოდერნიზაციისათვის გამოყოფილი თანხის ეტაპობრივ ზრდას. ოპტიმიზაციის ფარგლებში თავდაცვის სამინისტრომ უკვე გადადგა კონკრეტული ნაბიჯები ამ მიმართულებით და მომავალში დაგეგმილია ბიუჯეტში შესყიდვების ხვედრითი წილის 15%-მდე ზრდა.

2017 წელს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის დამტკიცებული ბიუჯეტი შეადგენს 670 მლნ. ლარს. აღნიშნული რესურსი გადანაწილებულია 8 პროგრამაზე, რომელიც ასევე მოიცავს „საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამას“.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2017 წლის ბიუჯეტი შეადგენს მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 1.9%-ს, ხოლო საქართველოს შეიარაღებული ძალების შესაძლებლობის გაძლიერების (29 08) პროგრამით¹, რომელიც მოიცავს 78 მილიონ ლარს, თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტი შეადგენს მშპ-ის 2.1%-ს (იხ. ცხრილი).

¹ 29 08 პროგრამა ფინანსდება საქართველოს მთავრობის მიერ და წლის ბოლოს აისახება თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტში.

თავდაცვის სამინისტროს 2017 წლის საბიუჯეტო პროგრამები

კოდი	პროგრამა	თანხა
29 01	თავდაცვის მართვა და შესაძლებლობები	467,741,000
29 02	წვრთნა და სამხედრო განათლება	43,098,000
29 03	ჯან. დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	53,757,000
29 04	მართვის, კონტროლის, კ/გაბმულობისა და კომპიუტერული სისტემები	9,743,000
29 05	ინფრასტრუქტურის განვითარება	32,069,000
29 06	საერთაშორისო ოპერაციები	35,270,000
29 07	სამხედრო მრეწველობის განვითარება	28,322,000
29 08	საქართველოს შეიარაღებული ძალების შესაძლებლობის გაძლიერება	78,000,000
ჯამი (29 08 პროგრამის გარეშე)		670,000,000
ჯამი (29 08 პროგრამის ჩათვლით)		748,000,000

2017 წელს, დაგეგმილია „თავდაცვის პროგრამების სახელმძღვანელოს“ განახლება, რომელიც თავდაცვის სტრატეგიული დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე, განსაზღვრავს 2018 წლის საბიუჯეტო პროგრამების შემუშავებისთვის საჭირო პრიორიტეტულ მიმართულებებს და საორიენტაციო ფინანსურ ჭერებს. „საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამის“ (GDRP) მნიშვნელობიდან გამომდინარე 2018 წელს ცალკე საბიუჯეტო პროგრამად გამოიყოფა ლოგისტიკური უზრუნველყოფა.

2017 წელს, ასევე შემუშავდება გრძელვადიანი შესყიდვების სტრატეგია, რომელიც ხელს შეუწყობს გრძელვადიანი გეგმებისა და პროგრამების სწორ პრიორიტეტიზაციას და წარმატებით განხორციელებას.

აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრული ღონისძიებების შესრულება მყარ წინაპირობას შექმნის გრძელვადიან პერსპექტივაში დაგეგმილი შეიარაღებული ძალების განვითარებისათვის. თუმცა, თავდაცვითი შესაძლებლობების სათანადო და მუდმივი განვითარება მოითხოვს თავდაცვისათვის გამოყოფილი ფინანსური რესურსის ეტაპობრივ ზრდას.